ხაშურის მოამბე

№8 (290) 22 მარტი, ორშაბათი, 2021 წელი

კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინა ხაშურშია, პირველი აცრები უკვე განხორციელდა

წელიწადია ამ დღეს ველით, წელიწადია, რაც სრულიად ახალმა და უცნობმა ვირუსმა დაზაფრა მსოფლიო. "დაზაფრა" რბილად ნათქვამია, რადგან ამ ვირუსმა არა მარტო სიცოცხლე წაართვა უამრავ ადამიანს, არამედ, მსოფლიო ეკონომიკაც უდიდესი გამოწვევის წინაშე დააყენა და აი, ორი თვის წინ, განვითარებულმა ქვეყნებმა , რომლებსაც ადრე მიუწვდათ ხელი ვაქცინაზე, აცრები დაიწყეს. ჯერ ადრეა პანდემიის დასასრულზე ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიომ ამოისუნთქა, შვება იგრძნო და იმედიც გამოჩნდა, დიდი იმედი.

საბედნიეროდ, ვაქცინამ ჩვენამდეც მოაღწია და ხაშურში, გასულ კვირას, 500 დოზა უკვე შემოვიდა. პირველი აცრებიც განხორციელდა. პირველი კი, მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი დავით ჩიქოვანი იყო.

დავით ჩიქოვანი: –დიახ, 500 დოზა უკვე ჩვენთანაა და სათანადო პირობებშიც დაცულია. "ასტრაზენეკას" ვაქცინა 2-8 გრადუსზე ინახება და თითოეული ფლაკონი 10 დოზიანია. ამიტომ აცრებს სპეციალურად გაწერილი პროგრამით ვახორციელებთ, რათა არ მოხდეს, რომ ვთქვათ ერთი ფლაკონის გახსნის შემდეგ 7 ან 8 პიროვნება აიცრას და დანარჩენი გამოუყენებელი დარჩეს. აქედან გამომდინარე, ველოდებით, რომ ათკაციანი ჯგუფები იყოს წინასწარ შედგენილი გრაფიკით. პირველ ეტაპზე, აცრები სამედიცინო პერსონალს მოიცავს, რომლის შემდეგ ქრონიკული დაავადებების მქონე პირები (65 წლის ზემოთ) აიცრებიან. ამის შემდეგ, უკვე მასიური აცრებიც დაიწყება, იმედია, ეს უახლოეს მომავალში მოხდება, რაც შეეხება ჩემს აცრას, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ყოველგვარ გართულებაზე ზედმეტია საუბარი. სკეპტიკოსებს კი კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა: პანდემიის დამარცხების ერთადერთი გზა აცრებია და ნუ ჩავაგდებთ საფრთხეში ნურც საკუთარ თავს და ნურც გვერდითმყოფებს. ბოლოს და ბოლოს, ამ ვაქცინით ინგლისში უკვე 11 მილიონი კაცი აიცრა და მათ შორის, ინგლისის დედოფალი. მოგეხსენებათ, ინგლისელების დამოკიდებულება და სიყვარული დედოფლის მიმართ და ნუთუ, ვინმე ფიქრობს, რომ ისინი საფრთის წინაშე დააყენებდნენ დედოფლის სიცოცხლეს?... ასე, რომ აცრებს ალტერნატივა არ აქვს და უახლოეს მომავალში, არც ექნება...

გაზეთის რედაქცია, ბატონი დავითის გარდა, მოქალაქეებს და საჯარო პირებსაც გაესაუბრა და დაინტერესდა, როგორია მათი დამოკიდებულება აცრებთან დაკავშირებით:

ზვიად ქურდაძე, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი:

– რა თქმა უნდა, ავიცრები, როცა რიგი მოვა. ასევე, აიცრებიან ჩემი ოჯახის წევრებიც. რა უფლება გვაქვს, არ ვენდოთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას თუ ცნობილ მეცნიერებს, რომელთა რეკომენდაციითაც ხდება ეს პროცესი? ვფიქრობ, აცრაა სწორედ ის პანაცეა, რომელმაც მსოფლიო ცხოვრების ჩვეულ რიტმს უნდა დაუბრუნოს.

მერი ლურსმანაშვილი, პედაგოგი:

–აუცილებლად ავიცრები, ბოლომდე ვენდობი კომპეტენტური ექიმების რეკომენდაციას, ეს ჩვენი პასუხისმგებლობაცაა და ეს უნდა გავითავისოთ ყველამ. მიუხედავად იმის, რომ 75 წლის გახლავართ, სათავეში ჩავუდგები იმ ადამიანების რიგს, რომლებიც ჩაიტარებენ ვაქცინაციას.

ნინო სუხიაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი:

– რა თქმა უნდა, ვაპირებ რომ ვაქცინაცია ჩავიტარო. ამ ეტაპზე, გასაგები მიზეზების გამო ეს არ ხერხდება, თუმცა, რომ ყოფილიყო შესაძლებლობა, ახლაც გავიკეთებდი. ზოგადად, ვარ ვაქცინაციის მომხრე და გულშემატკივარი მეცნიერების და მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, გავუფრთხილდეთ ჩვენ გარშემო ადამიანებს და არ ვიყოთ გადამდებები და არ წარმოვადგენდეთ საფრთხეს საზოგადოებისთვის. ასევე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მგონია ვაქცინაციის პროცესი ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, რადგან რაც მალე დაიწყება ეს პროცესი, მით უფრო მალე ამუშავდება და ამოქმედდება ბევრი რამ, რაც ისევ და ისევ ჩვენ სასიკეთოდ იმუშავებს. რა თქმა უნდა, მესმის იმ ადამიანებისაც, ვინც სკეპტიკურად უყურებს ვაქცინაციას. ეს შიში ბუნებრივია, თუმცა, მე ვარ ღრმად დარწმუნებული ვაქცინის უსაფრთხოებაში, რადგან შემოწმებულია და ფაქტებით დადასტურებული და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი არაა. რაც შეეხება ცალკეულ მოვლენებს, რომლის მიხედვითაც, გარკვეულმა ქვეყნებმა პროცესის შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს, ბუნებრივია, რომ ყველაფერს ახლავს გვერდითი მოვლენები, გამოცდილ მედიკამენტებსაც კი, ასე რომ, ვთვლი და მოვუწოდებ ყველას, ვისთვისაც ჩემი სიტყვა და დამოკიდებულება გასათვალისწინებელია, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასაც და ავიცრათ და ვიყოთ ჯანმრთელები.

ზურაბ ჩხიტუნიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი:

– ჩემი დამოკიდებულება თავიდანვე ემთხვეოდა სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების დამოკიდებულებებს. ის, რომ ვაქცინაცია უნდა ჩაიტაროს ყველამ, ამაში ეჭვი არასდროს შემპარვია და ჩვენს პირდაპირ ვალდებულებად და პასუხისმგებლობად ვთვლი, ჩვენი ქვეყნისთვის, ეკონომიკისთვის და ნებისმიერი სფეროს წარმატებისთვის გავაკეთოთ ეს. თუმცა მესმის სკეპტიკოსების, ლუგარის ლაბორატოიის მიმართაც არსებობდა ასეთი დამოკიდებულება, სანამ გამოცდილებამ არ გვაჩვენა მისგან მიღებული სიკეთე. ამიტომ, პირველი მივესალმები ვაქცინაციის პროცესის დასაწყისს ქვეყანაში.

რუსუდან გოგალაძე, იოგას ინსტრუქტორი:

– როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესისკენ მოვუწოდებ ყველას, ვფიქრობ, ვაქცინაციაც ერთადერთი გამოსავალია ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან თავის დასაღწევად. იმისთვის, რომ გადავრჩეთ, ფიზიკურადაც, მორალურად და სულიერადაც, აუცილებლად უნდა ავიცრათ, მივცეთ ადამიანებს და ქვეყანას სიცოცხლის გადარჩენის საშუალება.

ჩვენც, რდაქციის თანამშრომლები, სრული შემადგენლობით, ვიაზრებთ ვაქცინაციის უდიდეს მნიშვნელობას პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში და აუცილებლად ჩავერთვებით ვაქცინაციის პროცესში.

სუდ მაღე, სურამისა და ხაშურის ეპარქიას ახალი ტაძარი შეემატება

მეუფე სვიმეონის კურთხევით, მე-7 საჯარო სკოლის მიმდებარედ, შენდება 12 მოციქულის სახელობის ტაძარი, რომელსაც მამა ლევანი (ახვლედიანი) ხელმძღვანელობს. უფლის შეწევნით და მრევლის დახმარებით, ტაძრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. დარჩენილია იატაკის მოპირკეთება და ნაწილობრივ ეზოს კეთილმოწყობა. იმედია, ეს სამუშაოებიც მალე დასრულდება და ტაძარში მსახურებაც მალე აღევლინება.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი სივრცე ათასობით ექსპონატის მოლოდინშია

დიდი ხნის განმავლობაში, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მრავალრიცხოვანი, 103 ათასზე მეტი ექსპონატის განთავსებისათვის არ ფლობდა შესაბამის სივრცეს. 2019 წელს, მუზეუმს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაჩქარებულ ვადებში, რეაბილიტირებული ახალი შენობა გადაეცა. 2021 წლის 1 მარტიდან დაიწყო ფონდების განთავსება ახალ კეთილმოწყობილ სივრცეში. ამერიკის საელჩოდან USAID/zrda პროგრამით განხორციელებულმა პროექტმა კი შესაძლებელი გახადა, ფონდსაცავებში დამონტაჟებულიყო სტელაჟები და აღჭურვილიყო ახალი კომპიუტერული ტექნიკით, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ფონდებში ეფექტიან მუშაობას ექსპონატების ინვენტარიზაციისას. ამავე პროექტის ფარგლებში, შეიძინეს ახალი ფანჩატურები და მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით - მოლბერტები ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების გამოფენების, გამოფენა-გაყიდვების ან სულაც ადგილობრივი თემის ხელშეწყობის პროგრამის მიმართულებით ღონისძიებების ორგანიზებისათვის. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარ მცველს **მზია ლობჟანიძეს** მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი სამომავლო გეგმები აქვს პროექტის ფარგლებში.

ამ ეტაპზე, საცავებში ექსპონატებისა და კოლექციების განლაგების სამუშაოები მიმდინარეობს. თუმცა, მრავალრიცხოვანი ექსპონატებიდან საცავებში მხოლოდ ორი, არქელოგიური და ეთნოგრაფიული კოლექციები განლაგდება. ფოტო და დოკუმენტების, ხელნაწერების, რარიტეტული წიგნების, ნუმიზმატიკისა და ძვირფასეულობის კოლექციები კვლავ ძველ საცავში რჩება. მზია ლობჟანიძე დეტალურად აღწერს კოლექციების ახალ საცავში განლაგების სამუშაოებს:

- ძველი საცავებიდან კოლექციების შემოსვლისას, ხდება მათი ინვენტარიზაცია, მუზეუმის საინვენტარო წიგნებთან შედარება და ასევე, ელექტრონული ფორმატით აღრიცხვა. შემდგომ მექანიკური დამუშავება, დასუფთავება, წმენდა, განლაგდება შესაბამის ყუთებში ან თაროებზე. ამიტომაც არის ეს პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადი.

- უფრო კონკრეტულად გვიამბეთ იმ კოლექციებზე, რომლებიც ახალ საცავებში განლაგდება...

- აქ განლაგდება არქეოლოგიური მასალა, რომელიც 1976 წლიდან არის ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული. ბოლო წლებში ვმონაწილეობდით ერთობლივ საერთაშორისო პროექტებში, რომლის ფარგლებშიც, იტალიის ქალაქ ვენეციისა და თბილისის უნივერსიტეტებმა არქეოლოგიური კვლევის ცენტრთან და ჩვენ მუზეუმთან ერთად, განახორციელა შესანიშნავი სამუშაოები სოფელ ნაცარგორაში, ნაცარგორის მრავალფენიან გორა-ნამოსახლარზე, საიდანაც ამოღებული იქნა ადრე ბრინჯაოს ხანის საინტერესო მასალა, რომელიც გომში, ყოფილი ბაზის შენობაში, არასათანადო პირობებშია განლაგებული და ახლა მიმდინარეობს ახალ საცავში გადმობარების პროცესი, რაც ძალიან დიდი ეროვნული საქმეა. ახალ შენობაში, შეგვიძლია ამაყად ვთქვათ, რომ სათანადო პირობებში გვექნება ფასდაუდებელი ექსპონატები.

აქვე იქნება სოფელ წაღვლის, ჩვენს ერამდე მე-15,17 საუკუნეებით დათარიღებული მიქელაანთ ვერხვების სამაროვნის არქეოლოგიური მასალა, რომელიც იმით არის გამორჩეული, რომ მთელ კავკასიაში პირველი კვერი სწორედ ამ სამარხებიდან ერთ-ერთში დასტურდება. აგრეთვე, მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა წაღვლიდან, საციხურის გორა-ნამოსახლარიდან, ნაცარგორის მრავალფენიანი ნამოსახლარიდან და სამაროვანიდან, რომელიც საინტერესოა თავისი ადრე ბრინჯაოს ხანის მასალით და ასევე გვიან ბრინჯაოს ადრე რკინისა და ანტიკური ხანის მასალით.

საცავში ცალკე კოლექციად განლაგდება შესწავლის პროცესში მყოფი, შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ხაშურის რაიონის ტერიტორიიდან. მასალის კატალოგისთვის მზადება თითქმის დასრულებულია, რაშიც უანგაროდ გვეხმარებიან ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ბიძინა მურვანიძე და მისი მეუღლე, რომელმაც უსასყიდლოდ განახორციელა ძვირადღირებული პროცესი, ჩაგვიხატა 2000 - მდე არქეოლოგიური ნივთი.

შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალიდან ძალიან დიდი ნაწილი არის უკვე გაპიარებული, მაგრამ ძალიან დიდ ნაწილს პირველად კატალოგის გამოცემის შემდეგ გაეცნობა ფართო საზოგადოება, მათ შორის სამეცნიერო საზოგადოებაც. მეტად სასიამოვნოა, რომ ხაშურში ტრადიციად ჩამოყალიბდა, როდესაც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სამუშაოების ჩატარებისას აღმოჩენილ ნივთებს მუზეუმს გდასცემენ. ეს მაღალი საზოგადოებრივი შეგნების გამო ხდება და ყველა ხაშურელს ამის გამო მადლობას ვეუბნებით, რომ ასე კარგი დამოკიდებულება აქვთ მუზეუმთან.

- კიდევ რომელ კოლექციას გამოყოფდით მუზეუმის ფონდების საცავებიდან?

- ცალკე კოლექციად მინდა გესაუბროთ გორათის არქეოლოგიური მასალის შესახებ. მოგეხსენებათ, ქალაქის გასასვლელში, დასავლეთით, არის თანამედროვე ტიპის სასაფლაო, სადაც მესაფლავედ მუშაობს მერაბ ჩაჩოიანცი. ის, წლების

მანძილზე, თანამედროვე სამარხის გამართვისას, ნახულობდა არქეოლოგიურ ნივთებს. ერთხელაც, ყველაფერს თავი მოუყარა და მოგვიტანა მუზეუმში. როდესაც არქეოლოგებს გავაცანით, აღმოჩნდა რომ ძალიან საინტერესო სამაროვანთან გვაქვს საქმე. ყველაფრის დასისტემება მოვახდინეთ, ჩატარდა დაზვერვითი ექსპედიცია, შეისწავლეს ტერიტორია და აღმოჩნდა რომ ველი გამზადებულია იმისათვის, რომ იქ დაიწყოს არქეოლოგიური სამუშაოები. თუმცა, საველე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება ძვირადღირებულია. თუ ჩვენ მოვახერხეთ ამ დაფინანსების მოპოვება, ვთქვათ, რომელიმე ფონდიდან, გნებავთ ადგილობრივმა ხელისუფლებამ პროცესში ხელი შეგვიწყო, იქნება არაჩვეულებრივი, სახელიანი ამბავი. აქვე მინდა არავის საწყენად, ძალიან ფაქიზად, აღვნიშნო, რომ იქ, სადაც სამაროვანია, თუ მოვახერხეთ და არ გავრცელდება თანამედროვე სასაფლაო, ძალიან დიდი საქმე იქნება, რადგან ოდესღაც შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა და თანამედროვე საფლავები დააზიანებს ძველ ძეგლებს. მინდა, რომ ვინმემ იფიქროს აღნიშნულზე, სწორი ფიქრია, ქალაქის სასახელოა, კარგი ამბავია და რატომაც არა!?

- როგორც ვიცი, მნიშვნელოვანი პროცესია ფონდების მუშაობისას რესტავრაციაც...

- რესტავრატორი ადგილზეც გვყავს, რომელიც არქეოლოგიურ მასალაზე, ფოტო, დოკუმენტურ

და რარიტეტულ წიგნებზეც მუშაობს. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

(დასასრული III გვერდზე)

მართლაც რომ უნდა ვიამაყოთ

დიდი ინტერესით გავეცანი გაზეთ "ხაშურის მოამბეში(2021 წ. 8 თებერვალი) მე-5 და მე-6 გვერდებზე დაბეჭდილ თამარ ჯავახიშვილის ინტერვიუს წარმატებულ სტუდენტ ელენე შათირიშვილთან-სათაურით "ხაშურს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს". აღნიშნულ ინტერვიუში შესანიშნავადაა წარმოჩენილი ნიჭიერი და თავის რაიონზე შეყვარებული სტუდენტის დამოკიდებულებები და გათვლები ხაშურის ტურისტული პოტენციალისა და პერსპექტივების შესახებ.

სწორედ აღნიშნული ინტერვიუდან გამომდინარე გამახსენდა გაზეთ "კვირის პალიტრაში" 2015 წ 9-15 ნოემბერი №45, მე-4 გვერდზე დაბეჭდილი ფოტოილუსტრაცია და საგაზეთო მასალა სათაურით "10 რამ, რითაც ქართველებმა უნდა ვიამაყოთ", ვინც აღნიშნულ მასალას იცნობს, ან მომავალში დაინტერესდება, დამემოწმება, რომ გაზეთმა "კვირის პალიტრამ" მნიშვნელოვან თემაზე გაამახვილა ყურადღება. მეც, როგორც ჟურნალისტმა და დაინტერესებულმა პირმა, ორ გაზეთში გამოვაქვეყნე ჩემი ინტერპრეტაციით აღნიშნულ თემაზე წერილები, მაგრამ ყოველივე აღნიშნულმა, გამოხმაურება ვერ ჰპოვა მავანთა შორის.

თუ არა და, ზემოაღნიშნული "კვირის პალიტრის" ფოტოილუსტრაცია და საგაზეთო მასალა, ნამდვილად წაადგებოდა საქართველოს ნებისმიერ კუთხეს, მხარეს, რაიონს, ქალაქს, რამე თუ, ოფიციალური უცხოელი ტურისტი თუ რიგითი მნახველი ადგილზე ნანახ ისტორიულ ძეგლთან თუ სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, უშუალოდ გაეცნობოდა ქართველი ერისთვის მართლაც რომ 10 საამაყო ფაქტს.

ვფიქრობ, ნიჭიერი და ორგანიზატორული უნარებით აღჭურვილი ხაშურელი სტუდენტის ელენე შათირიშვილის პროექტი "ხაშურს დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს" და გაზეთ "კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებული ფოტოილუსტრაცია და საგაზეთო მასალა, ეფექტურად უნდა იქნას შესწავლილი, დაინტერესდნენ არა მარტო ტურისტული ორგანიზაციები, არამედ მუნიციპალიტეტები, სამხარეო ადმინისტრაციები, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, ჩინიანიც და უჩინონიც, რამეთუ, მისი გადაწყვეტილებით, მეტ ინტერესს გამოვიწვევთ უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ხაშურს, მის დაბა-სოფლებს არც თუ ისე ცუდად ვიცნობ, ელენე შათირიშვილის ინტერვიუდან გაცილებით ბევრი რამ შევიტყე ხაშურის ისტორიული და კულტურული ძეგლების, სხვა ღირსშესანიშნაობების, გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ელენე შათირიშვილის მოწოდებული ინფორმაცია ძალიან კარგია, მაგრამ თუ უფრო მეტად დავინტერესდებით და ხაშურსა და სურამში, სოფელ ქვიშხეთში, ალში და კიდევ სხვა დიდ სოფლებში აღვმართავთ სპეციალურ ბანერებს, ხაშურის ფიზიკური რუკის გამოსახვით და იქ დატანილი იქნება რაიონის ყველა ისტორიული ძეგლი და ღირსშესანიშნაობა, ცენტრიდან მანძილის ჩვენებით, განა ავტომატურად არ მივაწვდით ინფორმაციას ყველა დაინტერესებულ პირს, რიგით სტუმარს, თუ უცხოელ სტუმარს?

ახლა კი უშუალოდ საქართველოს იმ 10 საამაყო ფაქტის შესახებ, რომელიც გაზეთმა "კვირის პალიტრამ" რამდენიმე წლის წინ გამოაქვეყნა და ამ წერილის მიზანიც ისაა, რომ ამ საამაყო ფაქტების შესახებ, ასევე სპეციალური ბანერებით ვამცნობთ შინაურსა თუ უცხოელს, თუ რით ამაყობს და უნდა იამაყოს ქართველმა ერმა.

ახლა კი გავეცნოთ ზემოაღნიშნულ ათივე ფაქტს:

1. სიამაყე-მსოფლიოში 5000-მდე ერია და მხოლოდ 200-მდე სახელმწიფო. ჩვენ ერთ-ერთი უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ერი და სახელმწიფო ვართ.

2. სიამაყე-მსოფლიოში 7000-ზე მეტი ენა არსებობს, დამწერლობა კი სულ 14-ია. 14 დამწერლობას შორის, ერთ-ერთი ქართულია(მეხუთე სიძველის მიხედვით)

3. სიამაყე-ქართული მწერლობა 15 საუკუნეს ითვლის, ქართველებს საამაყო ქრისტიანული ლიტერატურა და მხატვრული ნაწარმოებები გვაქვს. შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი (მე-12 საუკუნე)" კი მსოფლიო შედევრად არის აღიარებული.

4. სიამაყე-ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა იუნესკომ 2001 წელს კაცობრიობის ზეპირსიტყვიერი და არამატერიალური მემკვიდრეობის შედევრად აღიარა. 1977 წელს, ილია ზაქაიძის და როსტომ საგინაშვილის მიერ შესრულებული "ჩაკრულო" "ნასამ" კოსმოსში გაგზავნა.

5. სიამაყე-ქართულ ხალხურ ცეკვას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს, ქართული ქორეოგრაფია მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა. ქვეყნის საზღვრებს გარეთ სახელი გაითქვეს ქართულმა ცეკვის ანსამბლებმა.

6. სიამაყე-საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა, რასაც ადასტურებს ისტორიული ფაქტები-არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ყურძნის წიპწები, რომლებიც ძვ. წ აღრიცხვის მე-7 და მე-6 ათასწლეულებს განეკუთვნება. გარდა ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითისდროინდელი მარანი. საქართველოში ყურძნის 600-ზე მეტი ჯიშია.

7. სიამაყე-საქართველო ხორბლის ერთ-ერთი სამშობლოა. მსოფლიოში 27 სახეობის ხორბალი არსებობს, აქედან, 14 ქართული ხორბლის სახეობაა, მათ შორის-5 ენდემური. ქართული ხორბლის ჯიშების უნიკალური თვისებებია: ყინვისა და გვალვების მიმართ გამძლეობა და სტაბილური მოსავლიანობა.

8. სიამაყე-ქართული სამზარეულო თავისი მრავალფეროვნებით, ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევა მსოფლიოში.

9. სიამაყე-საქართველო მინერალური წყლების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ არის მტკნარიც და ძლიერი მინერალიზირებულიც, ცივიც და თერმულიც. ბუნების მკურნალ ძალებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი წყალს უჭირავს. საქართველო კურორტების ქვეყანაა. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე აღრიცხული და ნაწილობრივ შესწავლილია 1000-ზე მეტი მინერალური წყალი.

10. სიამაყე-დედამიწაზე ძნელად თუ მოიძებნება საქართველოსავით პატარა ქვეყანა, რომლის ტერიორიაზეც ნახავთ ტროპიკულ ტყესაც, ზღვისპირეთსაც, მყინვარებით დაფარულ მწვერვალებსაც, ქვეყნის ყოველი კუთხე ერთმანეთისგან განსხვავებული, ულამაზესი და უნიკალურია.

როგორ ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო, მართლაც ხომ ბევრი რამ გვაქვს საამაყო, ყოველივე აღნიშნული შეუწყობს თუ არა ხელს, ტურისტებისა და დამსვენებლების გათვითცნობიერებას და დაინტერესებას ქვეყნის წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულს თუ მხატვრულადაც გავაფორმებთ და რამდენიმე უცხო ენაზეც მივაწვდით დაინტერესებულთ წასაკითხად, აღსაქმელად უფრო ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის.

აღსანიშნავია, რომ "კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულ ტექსტს შესაბამისი ატრიბუტიკაც ახლავს და დაინტერესებულ პირებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს უთუოდ გაუადვილებს საქმეს, თუმცა, საკუთარი ფანტაზიითაც შეუძლიათ იმოქმედონ.

ახლა ჯერი შემსრულებელზეა...

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი სივრცე ათასობით ექსპონატის მოლოდინშია

(დასასრული)

სამინისტრო სამხატვრო აკადემიის სარესტავრაციო სახელოსნოსთან, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ნანა კუპრაშვილი, ახორციელებს პროგრამას რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პირადი კოპნტაქტების წყალობით, სახელოსნო გვეხმარება ისეთი მასალის რესტავრაციაში, რომლის აღდგენა ადგილზე ვერ ხერხდება. მაგალითისათვის გავიხსენებ ფერწერულ ტილოების კოლექციის რესტავრირებას სახელოსნოს მიერ. ეს ძალიან დიდი ამბავია, მით უფრო რომ საუბარია ლადო გუდიაშვილის ორიგინალზე, ციმაკურიძის 7 ერთეულ ფერწერული ტილოზე, ედმუნდ კალანდაძის, აპოლონ ქუთათელაძის და სხვათა ნამუშევრებზე. ეს ავტორები არიან თანამედროვე ქართული მხატვრობის აღიარებული წარმომადგენლები და ვიმედოვნებ, ოდესმე გვექნება იმის საშუალება, რომ ჩვენი ფერწერული ტილოები სადმე, ფართო გალერეაში გამოვფინოთ. ეს იქნება თითოეული ხაშურელისათვის ძალიან საამაყო. ჩვენთან დაცული ფერწერული ნამუშევრები ნამდვილად იმსახურებს, რომ დამოუკიდებელი საგამოფენო სივრცე გვქონდეს.

- დასასრულ, საინტერესო იქნება, მოვისმინოთ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ, რაც ისევ და ისევ -ფონდების საცავის ახალ სივრცეს უკავშირდება...

- ჩვენ ვგეგმავდით, რომ აქ იქნებოდა არა მარტო საცავები, კოლექციების განსათავსებელი ადგილი, არამედ გვექნებოდა სადისკუსიო სივრცეც, სადაც შეგვეძლება გარკვეული ურთიერთობები შედგეს მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, ადგილობრივ თემთან. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე მუზეუმი არის ინკლუზიური მუზეუმი, რომელიც თემთან ძალიან აქტიურ და ინტენსიურ ურთიერთობას განიხილავს. აღნიშნული მიმართულების განსავითარებლად ვფიქრობდით, რომ სივრცე გვექნებოდა და ფონდის ყველა კოლექცია აქ დაიდებდა ბინას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კვლავ ვერ ვეტევით. თუმცა, ახალ საცავში ნამდვილად განთავსდება არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კოლექცია და ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ფორმით ფონდების ღია ჩვენება პუბლიკისათვის, ყველა დამცავი წესის გამოყენებით, დაცულობა გარანტირებული და უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი თანამშრომლების მიერ. ვგეგმავთ 5-6 კაციანი ჯგუფების მიღებას, მათი მონაწილეობით დისკუსიების გამართვას, პროექტორის დახმარებით კოლექციებზე მნიშვნელოვანი პრეზენტაციების წარდგენას ვიზიტორებისათვის. გეგმაშია, ასევე, ჩვენი ახალი გალავნიანი ეზოს სრულად ათვისება, ეზოში ადგილობრივ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის მოწყობა... თუმცა, ამ ეტაპზე ვართ ხანგრძლივ მუშა პროცესში, გვაქვს სერიოზული რაოდენობა კოლექციებისა, რაც საჭიროებს პედანტურ და საპასუხისმგებლო საფონდო, სკრუპულოზურ მუშაობას...

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით, USAID/ზრდა პროგრამით განხორციელებულმა პროექტმა საშუალება მისცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უნიკალური ექსპონატები უსაფრთხო სივრცეში განეთავსებინა, რაც პატარა ქვეყნის დიდი კულტურის აქტიურ პოპულარიზაციაში დაგვეხმარება.

თეა ახალკაცი

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6,7)

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, 1865 წელს, ზემო ჭალაში 58 კომლი გლეხი ცხოვრობდა. აქედან სახაზინო იყო 8, საეკლესიო - 3 და დროებით ვალდებული – 47.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დროისათვის არსებობდა ზემო ჭალის სასოფლო საზოგადოება, რომელშიც შედიოდა თვით ზემო ჭალა, ხაშური და ცხრამუხა.

ოცი წლის შემდეგ, 1886 წელს, ზემო ჭალის მოსახლეობა თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ამ დროს აქ 143 კომლი მოსახლეა (446 კაცი და 364 ქალი, სულ 810 კაცი) ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მოსახლეობა მთლიანად ქართულია, მხოლდო ერთი კომლია სომეხი.

ხაშურის სიძველეები

დღევანდელი ხაშურის ტერიტორიაზე მატერიალური კულტურის არაერთი საინტერესო ძეგლი გვხვდება, რომლებიც თავმოყრილია, ძირითადად, საკუთრივ ისტორიული ხაშურის, დღევანდელი 9 აპრილის ქუჩის მიმდებარედ. საკულტო ძეგლებთან ერთად გვხვდება სათავდაცვო ნაგებობაც, XVIII საუკუნეში ფართოდ გავრცელებული ცილინდრული ტიპის კოშკი. საკულტო დანიშნულების ძეგლები გვხვდება ხაშურის უბნებში გორათში, შინდარასა და ჭალისუბანში. ჭალისუბანშივეა შემორჩენილი XVIII ს-ის კოშკის საძირკველი.

XX საუკუნის 90-იანი წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში ამ ძეგლებს მიემატა ახალი ძეგლებიც (წმ. ბარბარეს, წმ. ილია წინასწარმეტყველის), ცვლილებები განიცადა ძველმა ძეგლებმა (წმ. მარინე, შინდარის წმ. გიორგი), თავიდან აშენდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარი.

წმინდა მარინეს ეკლესია. მდებარეობს ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში მდ. სურამულას მარცხენა სანაპიროზე. აქ 1989 წლამდე ხაშურის ძველი სასაფლაოც იყო მოწყობილი. ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დავთრის ჩანაწერების მიხედვით, 1827 წელს, წმინდა მარინეს ეკლესია ხისაა. ამავე ჩანაწერების თანახმად 1858-1859 წლწბში ხის ეკლესიის ადგილზე აგებულ იქნა ქვითკირის შენობა, რომელმაც ჩვენს დრომდე დაზიანებულმა მოაღწია, არ ჰქონდა სახურავი და ლავგარდანი.

სპეციალურ ლიტერატურაში მის შესახებ აღნიშნულია: ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა /10,4X6/, რომელიც აღმოსავლეთით მთავრდება ნახევარწრიული აფსიდით. ნაგებია რიყის ქვითა და აგურით, აფსიდის ცენტრში გაჭრილია აგურისთაღიანი სარკმელი, რომლის ორივე მხარეს სწორკუთხა ნიშებია: სამი - ჩრდილოეთით და ორი - სამხრეთით. საკურთხevლის ბაქანი და არდაბაგი ერთი საფეხურით შემაღლებულია. საკურთხevლის აღმოსავლეთ ნაწილში შემორჩენილია იატაკის ქვის ფილები. აფსიდის მხრებზე აგურით ნაწყობი სატრიუმფო თაღი გადადის. კონქიც აგურით არის ნაწყობი. აქვს ორი სწორკუთხა შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთით. დასავლეთის კარის თავზე და ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში, აფსიდის მხრებთან ახლოს, გაჭრილია თითო აგურისთაღიანი სარკმელი. დარბაზის დასავლეთის კედლის კუთხის პილასტრებს აგურით ნაწყობი საბჭენი თაღი ეყრდნობა. აგურითაა ნაწყობი ეკლესიის ცილინდრული კამარაც. თაღების ქუსლებთან ქვის მარტივი იმპოსტებია. ეკლესია შიგნიდან შელესილი იყო.

ეკლესიის ფასადებზე კარგად ჩანს ორი საამშენებლო ფენა. კედლები მიწიდან ნატეხი ქვის სარტყლებამდე რიყის ქვითაა ნაგები, ხოლო სარტყლის შემდეგ ნატეხი ქვით. შენობის კუთხეები ამოყვანილია დიდი ზომის უხეშად დამუშავებული ნატეხი ქვით.

აღმოსავლეთის და დასავლეთის ფასადებზე, სარკმლებს ზემოთ, აგურის წყობაში გამოყვანილია თითო ჯვარი. დასავლეთის ფასადზე ჯვარი კედლის სიღრმეშია, ხოლო აღმოსავლეთისაზე ამოწეულია კედლის სიბრტყიდან. ჯვრების ორივე მხარეს აგურის წყობით შექმნილია რელიეფური ზოლები.

დარბაზში ხუთი საფლავი იყო. აქედან წარწერა იკითხებოდა ორზე. აქვე მოგვყავს ეს წარწერები.

ჩრდილოეთის კედელთან მდებარე საფლავის ქვაზე შემდეგი წარწერა იკითხებოდა:

„ამა ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ პეტრე
შიოს ძე აბაიაძე უძეოდ გადაგდებული და
მრჩა ცოლი რომელიც მომიძღვიან ლოდი ესე
წამკითხველთაგან შენდობას ვითხოვ გარდავიც
ალე თებერვალ 188 (7) (?)
(დ)აბადებიდან 6 (...) წლის.“

საკურთხevელთან ახლოს ჩრდილოეთის კედელთან კიდევ ერთ საფლავზე იკითხებოდა წარწერა:

„ამა ლოდსა ქვეშ განისვე
ნებს გვამი კნეინა ნინა
(მეუღლე) (?) თავადის როსტომ ხიდირბეგო
ვის გარდაცვალებულ იანვრის ით-ს დღესა შობიდგან (მა) წელსა“.

XIX საუკუნის 90-იან წლებში წმინდა მარინეს ეკლესიაზე განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოები, გარდა სარესტავრაციო სამუშაოებისა, ადგილი ჰქონდა ახალ მშენებლობასაც. მას ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან გაუკეთეს მინაშენები, რამაც მთლიანად შეცვალა მისი პირვანდელი იერ-სახე.

ეკლესია კვლავ ერთნავიან ბაზილიკად დარჩა. დასავლეთის მხრიდან გაგრძელებულია. გეგმაში სწორკუთხაა /6.2X11.5), რომლის აღმოსავლეთის აბსიდი ექსტერიერში არ იკითხება. გარეთა ფასადი მოპირკეთებულია დეკორატიული თლილი ქვით. აღმოსავლეთის ფასადზე ცენტრში გაჭრილია სარკმელი, რომლის თავზეც თეთრი რელიეფური ჯვარია გამოსახული, რაც კონტრასტს ქმნის ეკლესიის მომწვანო-მოყავისფრო სილუეტთან.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს - დასავლეთითა და ჩრდილოეთით. დასავლეთის ფასადზე მიშენებულია ორსართულიანი სამრეკლო, რაც მცირე ზომის ეკლესიას შედარებით მაშტაბურს წარმოაჩენს. მინაშენის პირველი სართული ქმნის ნართექსს, დამატებით სივრცეს ბაზილიკისათვის. სამრეკლო ტაძრის ასტეკური, სადა ფასადებისგან განსხვავებით მხატვრულადაა გადაწყვეტილი, რაც მიღწეულია მოპირკეთებისას ქვის წყობით. სწორკუთხა შესასვლელი თაღით ბოლოვდება და მის თავზე მცირე ზომის თეთრი რელიეფური ჯვარია გამოსახული. მეორე სართულის დონეზე სამრეკლოს ორი სარკმელი აქვს დასავლეთიდან და სამხრეთიდან გაჭრილი. ექსტერიერიდან ლითონის კიბით ხდება ასვლა სამრეკლოში, სადაც თაღებით გახსნილ სწორკუთხა სათავსში განთავსებულია ზარი.

ბაზილიკას ჩრდილოეთიდანაც აქვს მცირე მინაშენი, კარიბჭის ტიპის, სადაც მეორე თაღოვანი შესასვლელია გაჭრილი. სამრეკლოს მსგავსად, ისიც შედარებით მხატვრულადაა ქვით მოსაპირკეთებელი. ეკლესიის ასეთი გადაწყვეტა, სივრცეების დანაწევრება და დამატებითი სადგომების შექმნა, როგორც ვიზუალურად ზრდის ეკლესიას და ეხმარება მის აღქმას, ასევე მცირე ბაზილიკაში ქმნის დამატებით ფართს მრევლისათვის. ტაძარი მცირედ ნათდება: ჩრდილოეთის ორი და სამხრეთის ერთი სარკმლით.

წმ. მარინეს ეკლესიის საერთო კომპოზიცია კარგადაა გადაწყვეტილი. ეკლესია ორგანულად ეწერება გარემოში, რაც სიმყუდროვის შექმნას უწყობს ხელს.

ტაძართან ფუნქციონირებს დედათა მონასტერი.

იოანე ნათლისმცემლის (წინასწარმეტყველის) ეკლესია. მდებარეობს ქალაქის ცენტრში.ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დავთრის 1835 წლის ჩანაწერის მიხედვით, იოანე მახარებლის (ნათლისმცემელი, წინასწარმეტყველი) ეკლესია „აღშენებილ არს მეცადინეობითა მრევლითა“ და „შენობით არის ხისა, ამგვარითავე სამრეკლოითურთ“. 1837 წლის ჩანაწერით იგივე მდგომარეობაა მხოლოდ ერთი დამატებით: ეკლესია „აღშენებულ არს მეცადინეობით მრევლთათა, ხოლო ოდეს არა ცნობილ არს“.

ამდენად ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის არ იყო ცნობილი თუ როდის არის აშენებული ეკლესია.

1844 წლის ჩანაწერში აღნიშნულია: „სოფლის ხაშურის იოანე მახარებლის ეკლესია აღშენებული არის მეცადინეობით მრევლთათა, ხოლო ოდეს არაა ცნობილ არს. შენობით არის ხისა, სიონურად მოყვანილი, ხის სამრეკლოითურთ. არის საკმაოდ მაგარი“.

იოანე ნათლისმცემლის ეკლესია XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის კვლავ ხისაა. ამ წლებში იგი თავად დავით ხიდირბეგიშვილს გადაუხურავს.

წმინდა მარინეს და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები მცირე მოცულობისა იყო და XIX საუკუნის მიწურულში ვეღარ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებებს. აქაური მოსახლეობა, „როგორც ქართველები, აგრეთვე რუსებიც, რადგან ხაშურში ეკლესია არ აქვთ“ სურამში დადიოდნენ, – წერდა ჟ. „კვალი“ 1897 წელს. ეს მაშინ, როცა თავად სურამის ეკლესიაც არ იყო მოცულობით დიდი. ამიტომ დღის წესრიგში დადგა ხაშურში ახალი ეკლესიის მშენებლობის საკითხი. მართლაც, ახალი ეკლესიის მშენებლობა აქ 1904 წელს დაუწყიათ და 1911 წელს დაუმთავრებიათ.

გაზეთი „ალია“ 1908 წლის 9 ნოემბერს წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს პატარა ხაშურში ორი ეკლესია გვაქვს, მაინც აქაურ გამოჩენილ ფანატიკოსების აგულიანებით ამ ოთხი წლის წინეთ დაიწყეს კიდეც მესამე ახალი ეკლესიის შენება, რომელიც ჯერ მხოლოდ ნახევრად არის აშენებული. ამისთვის ყოველ წელიწადს ბლომათ იკრიბება ფული ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, მაგრამ მის მოთავებას არაფერი ეშველა“.

1911 წლის 2 ნოემბერს გაზეთი „მნათობი“ იუწყებოდა, რომ „23 ოქტომბერს აქ (ხაშურში – თ.ლ.) აკურთხეს შვიდი წლის ნაშენები ეკლესია ეგზარხოსის თაოსნობით... წესრიგს აუარებელი პოლიცია იცავდა“.

ეკლესიის კურთხevის შესახებ, უფრო ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა „სახალხო გაზეთმა“ სათაურით „საქართველოს ეგზარხოსი ხაშურში“. წერილის ავტორია ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ლადო ბზვანელი.

„კვირას, 23 ოქტომბერს, - ნათქვამია ინფორმაციაში, – დილის 8 საათიდან აუარებელი ხალხი, დიდი და პატარა მიაწყდა სადგურ მიხაილოვის გადაღმა ახლად აშენებულ ხაშურის ეკლესიის ეზოს, ამ დღეს მოწვეული იყი ტფილისიდან ბლაღოჩინი ღვდელი იაკობ გორგაძის მიერ ეკლესიის საკურთხevლად, ადგილობრივი სამღვდელოების თანხმობით საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი, რომელიც მობრძანდა წინა დღით არქინამდრიტის თანხლებით. ცხრა საათზე დაიწყო წირვა. ეკლესია და ეზო, ქუჩები, სახლების დერეფნები და სახურავები გაჭედილი იყო ხალხით, ყველა რაღაც სიამოვნებას გრძნობდა ასეთი დღესასწაულის გამო. პირველ საათზე დამთავრდა წირვა, აკურთხეს ეკლესია წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობაზე. ნაწირვებს ეკლესიის ეზოში გადახდილ იქნა პარაკლისი, რომლის შემდეგ ადგილობრივმა სამღვდელოებამ დაურიგა ხალხს სხვადასხვა ქართულ-რუსული წიგნაკები სასულიერო – ზნეობრივი შინაარსისა. ექსარხოსის წაბრძანების შემდეგ ამ ეკლესიის მრევლმა გამართა სადილი ეკლესიის ეზოში. საზოგადოდ, ეროვნულმა დღესასწაულმა მშვიდობიანად ჩაიარა...“

წერილის დასასრულს, ლ. ბზვანელი აღნიშნავს: „ახალი ეკლესია, რომელიც აუშენებიათ ხაშურლებს ჩინებულია, დამჯდარა 40 ათას მანეთამდე, ხოლო უნდა შევნიშნო, რომ ეზო მეტად ვიწროა და ჭაობიანი. ეკლესიის გარშემო მცხოვრებთა სახლები და ბაკ-ბოსლებია აშენებული. ასეთ კარგ ეკლესიისთვის ადგილობრივ სამღვდელოებას უნდა გამოერჩია უფრო მაღლობი გამორჩეული სუფთა ადგილი“.

სპეციალურ ლიტერატურაში ეკლესიის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა /19 X 14,65/, ნაშენია აგურით, გუმბათი ხისაა. ეკლესიის გეგმა ტოლ-მკლავი ჯვარია. აღმოსავლეთით ნახევარწრიული შვერილი აბსიდია. მკლავების ღერძზე დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით ფართო და მაღალი შესასვლელებია. ჩრდილოეთის შესასvლელი მოქმედებაში არ არის. აღმოსავლეთ მკლავში ორი ნიში და სამი სარკმელია, ერთი აფსიდის ღერძზეა, ორი მის გვერდებზე. ორ-ორი სარკმელია ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის კედლებში, ხოლო თორმეტი – გუმბათის ყელში. საკურთხevელი ხის კანკელით არის გამოყოფილი. ხისაა პატრონიკეც. თორმეტწახნაგა გუმბათი ჯვრის მკლავების კუთხეებზე გადაყვანილ თაღებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გადასvლა კვადრატის კუთხეებზე გადებული ხის კონსტრუქციების საშუალებით ხდება. სამხრეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის ფასადებზე სამ-სამი შეღრმავებაა, მათ შორის შუა რამდენადმე მაღალია დანარჩენებზე და საფეხურებიანი ნახevარწრიული თაღით მთავრდება.

გუმბათის სახურავი პირამიდულია. მის წვეროზე ხახვის ბოლქვის ფორმის პატარა გუმბათით დასრულებული პრიზმისებური სvეტია აღმართული. ნაგებობას აგურით ნაწყობი დაკბილული ლავგარდანი აქვს. შვერილი აფსიდის ლავგარდანი მარტივია, შედგება ორსაფეხურიანი თაროსაგან. ეკლესია შიგნით და გარეთ შეთეთრებულია.

XXI საუკუნის დასაწყისში, დღის წესრიგში დადგა არსებული ეკლესიის ადგილზე ახალი ნაგებობის აგება. 2007-2008 წლებში დაიწყეს და 2010 წელს დაასრულეს დღევანდელი იოანე ნათლსიმცემლის ეკლესიის მშენებლობა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ესპანელ მეცნიერთა დასკვნები: მითი თუ რეალობა ნუთუ მართალია?!

ამასაწინათ, ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში, ესპანელი მეცნიერების დასკვნა გამოქვეყნდა, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყოველი მესამე ადამიანი, თურმე, შურიანი ყოფილა.

ქ. მადრიდის კარლოს III - ის სახელობის უნივერსიტეტის სწავლულებს ზემოაღნიშნული დასკვნა რომ გაეკეთებინათ, გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ კვლევა-ექსპერიმენტი, რათა გამოევლინათ, ძირითადად, როგორი ტიპის პიროვნებები არსებობენ საზოგადოებაში.

როგორც აღმოჩნდა, ადამიანები პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად, ესენია: შურიანები, ოპტიმისტები, პესიმისტები და მიმნდობნი (გულუბრყვილონი).

ექსპერიმენტში მონაწილე ყოველი ადამიანის გადაწყვეტილება და მისი შედეგები მეცნიერებმა, კომპიუტერული ალგორითმით ანალიზის შედეგად გამოავლინეს.

როგორც კვლევებმა დაადასტურეს, 30 პროცენტი შურიანი გამოდგა, რაც შეეხება ოპტიმისტს, პესიმისტსა და მიმნდობ ადამიანებს, მათი მონაცემები თანაბრად განაწილდა (ყოველი კატეგორია - 20 პროცენტი), ხოლო დარჩენილი 10 პროცენტი, კომპიუტერმა ვერ შეძლო რომელიმე კონკრეტულ კატეგორიაში შეეყვანა.

კეთილი და პატიოსანი, თითქოს ყველაფერი ნათელია. მეცნიერეულად შესწავლილი საკითხი ირწმუნება, რომ საზოგადოებაში ყოველი მესამე ადამიანი შურიანია.

თუ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჩავიხედავთ, სიტყვა „შურიანის“ განმარტება ასეთია: „მწუხარება სხვისა კეთილსა ზედა (საბა), შურით აევსო გული - შურით უყურებდა, შურის თვალით უყურებს ვისმე რამე. შურს იძიებს - სამაგიეროს გადაუხდის, მიუზღავს (მტრობით)“, ხოლო სიტყვა „შურს“, ასეა განმარტებული: 1) შურით არის აღვსილი. სხვისი ბედნიერება შურდა, 2) ენანება არ ემეტება არაფერი, შურს ამხანაგებისათვის.

ნუთუ მართალია, რომ ჩვენი საზოგადოების ყოველი მესამე წევრი შურიანია? ბუნებრივია, დაგებადება კითხვა: რატომ?

რატომ გშურს სხვისი ნიჭი, სხვისი შენაძენი, სხვისი სილამაზე, სხვისი ავტორიტეტი, სხვისი ცოდნა, განათლება, კულტურა, უნარები. ნუთუ ადამიანი, რომელიც გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით, ასე უნდა დამდაბლდეს, ასე უნდა დაკნინდეს?!

არ ვიცი, სხვა ქვეყნებში და სხვა ერებში როგორია შურიან ადამიანთა პროცენტული მდგომარეობა, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით და გავაანალიზებთ ჩვენს გარშემო არსებულ ვითარებას, დავინახავთ, რომ ქართველი საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღნიშნული სენითაა დაავადებული.

აღნიშნული სენი ანუ შურიანობა, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ტვინის, ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის მტერია, ამის თქმის უფლებას გაზეთ „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია მაძლევს, სადაც აღნიშნულია, რომ შურიანობა, ეჭვიანობა, აქვეითებს ადამიანის ყურადღებას, ხელს უშლის მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების კონცენტრირებას. გარდა ამისა, იწვევს სტრესის, შფოთვისა და დეპრესიის სიმპტომების გამოვლენას, რაც ორგანიზმში ადრენალინის მომეტებულ გამომუშავებას უწყობს ხელს. ყოველივე აღნიშნული, კი აისახება ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებაზე. ადამიანს ემატება უძილობა, არტერიული წნევის მატება, გულისცემის გახშირება, იწვევს სისხლში ქოლესტერინის დონის მომატებას, საჭმლის მონელების დარღვევებს და ა.შ.

მახსენდება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის, ბატონ აკაკი ბაქრაძის სიტყვები, როცა ის მიუთითებდა ჩვენს ირგვლივ მყოფთა ერთ დამახასიათებელ, მაგრამ ფრიად მანკიერ მხარეზე. კერძოდ, - მას სამსჯავროზე გამოჰყავს ის ადამიანები, რომლებიც მხოლოდ სხვათა მიმართ შურიანობასა და დამცირებაში აღამებენ და ათენებენ.

სამი ადამიანიც, რომ საუბრობდეს და თითქოს ურთიერთპატივისცემაში არიან, ერთ-ერთის დროებით სადმე გასვლა იწვევს დარჩენილი ორის ქილიკს მესამეზე. შემდეგ კი ადგილმონაცვლეობის შესაბამისად, სხვა გასულზე მიდის ქილიკი და ა.შ.

დიახ, ზოგიერთი ვერ მაღლდება იმ დონეზე, რომ თუ რაიმეს თქმა გინდა და ხინჯს ამჩნევ ადამიანს, გეყოს გამბედაობა და პირდაპირ უთხარი სიმართლე. მეგობრულად მიუთითე ნაკლის თუ სხვა არასასურველი თვისების გამო.

თუ კარგად დაუკვირდებით ჩვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებს, მათ არც თუ იშვიათად, შეამჩნევთ შურიანობას, ბოღმას ცნობადი სახეების მიმართ, ვერ აუტანიათ თუ ვინმემ წარმატებით ისწავლა, გზა გაიკვალა ცხოვრებაში, რაიმე თანამდებობა დაიკავა ან მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწია.

ალბათ ჩვენი საზოგადოების სწორედ იმ ყოველი მესამე წევრის „დამსახურებაა“, რომ შურმა, ბოღმამ და მტრობამ, ტალახის სროლამ, მნიშვნელოვნად დააზარალა თითოეული ჩვენგანი და ე.ი. მთლიანად საზოგადოება.

იმის მაგივრად, რომ ადამიანებმა გაითავისონ ხალხური სიბრძნე - „სიკეთე ქმენ, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდება,“ - პირიქით იქცევიან, თავიანთი შხამიანი ენით, ჭორიკნობით, ავკაცობით, ირგვლივ წამლავენ ყველაფერს, საქმიან, ჭკვიან, ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს სურვილს უკლავენ იფიქრონ ქვეყნისათვის, ხალხისათვის, რათა აკეთონ კეთილი საქმეები.

აი, რას წერს საუკუნეზე მეტი ხნის წინ ქართველი ერის მამად წოდებული დიდი ილია ჭაჭავაძე გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე: „არა გვგონია, სხვაგან იყოს ისეთი ქვეყანა, სადაც ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ისე წინდაუხედავად, ტყუილ-უბრალოდ ილახებოდეს, როგორც ჩვენში, ჩვენი ფიქრით კი ადამიანს კაცია თუ ქალი, პატიოსნებისა და ნამუსის მეტი სხვა უძვირფასესი არა აქვს რა გასაფრთხილებელი და წმინდად შესანახი.

ადამიანი ადამიანობს პატიოსნებითა და ნამუსით და ვინც ეს იცის, იმისთვის შებღალვა ან ერთისა ან მეორისა, ყოველს დანაკლისზე უმძიმესია, ყოველსა მწუხარებაზედ უდიდესი მწუხარებაა.

თუმცა ესეა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში არაფრად არ მიაჩნიათ ჩირქის მიცხება და წაწყმედა სხვისის პატიოსნებისა და ნამუსის“ (2 ივლისი, 1887წ).

განა ეს სიტყვები ზუსტად არ მიესადაგება დღევანდელობას? ან და ავიღოთ ილიასავე შემდეგი სიტყვები: „ჭუჭყიანი სიტყვა - პასუხი, ჭუჭყიანი გულისნადები, რომელიც აბეჭდია ხოლმე ყოველს კაცს, სხვის გასაბიაბურებლად გამოლაშქრებულს, მეტისმეტად ცხადი ნიშანია თვითონ მოლაშქრის უწმინდურობისა და ჭუჭყისა.“

დიახ, ზემოთ წამოჭრილი პრობლემა თითქმის ყოველთვის არსებობდა, მითუმეტეს დღეს, როგორც საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ნიჭიერი მწერალი გიორგი კეკელიძე ამბობს „ქართველებს ყველაზე მეტად გვიჭირს ერთმანეთის შეჩვევა და სხვა ადამიანის ფასის გაგება: დარწმუნებული ვარ, ამ გაკვეთილს (იგულისხმება კორონა-ვირუსის პანდემია) ბევრი კარგად აითვისებს და ამ ბრძოლიდან ფიქრით დატვირთული გამოვა, კარგად გააცნობიერებს, რას ნიშნავს ადამიანად ყოფნა“ (კვირის პალიტრა №26. 2020).

ვინ იცის, კიდევ რამდენი ცნობილი და მოაზროვნე, მამულისათვის დამაშვრალი ქართველი ფიქრობს ასე და უფრო მეტიც. მათ სიტყვას, თქმულს საჯაროდ, მოსმენა და საქმედ ქცევა უნდა.

ჩვენდა საბედნიეროდ, ზემოაღნიშნული კატეგორიის ადამიანები, როგორც არ უნდა იყოს, მაინც ცოტანი არიან. ისინი ვერასოდეს შეძლებენ ავკაცობით, შურით, ბოღმით, მტრობით, ჭუჭყიანი სიტყვების სროლით ფონს გავიდნენ, მათ საზოგადოების ღირსეული უმრავლესობა გარიყავს და სათანადო შეფასებასაც მისცემს.

იმედია, ესპანელ მეცნიერთა დასკვნას ობიექტურად აღიქვამს საზოგადოება და თვითონვე სათანადო დასკვნებს გააკეთებს, რომ ზემოთ მინიშნებული უარყოფითი თვისებებით შორს ვერ წავალთ.

დავაფასოთ ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები, ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ნიჭი, ინიციატივის უნარი, ოფლს ღვრიან იმისათვის, რომ წინსვლა, აღმშენებლობა, წარმატება იყოს ჩვენი მომავალი ცხოვრების საფუძველი.

თემურ ხუხუნაიშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

საქართველოს მთავრობა დაბრუნებულ მიგრანტთა დასახმარებლად ახალ პროექტს (პროგრამას) იწყებს

პროგრამის მიზანს ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა წარმოადგენს.

სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის გრანტების გაცემას, პროფესიული განათლებით, სამედიცინო დახმარებითა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

შემოსავლის წყაროს გაჩენის, დასაქმებისა და თვითდასაქმების მიზნით, ჯამში, 200-მდე დაბრუნებული მიგრანტი დაფინანსდება. გრანტის მიღება შესაძლებელია როგორც საქმიანობის დაწყების, ისე გაფართოების შემთხვევაში და მისი ოდენობა არაუმეტეს 4000 ლარს შეადგენს.

სურამის IV საჯარო სკოლის მოსწავლე „ეტალონის“ გამარჯვებულია

ზოგადად,დიდი ბედნიერებაა,როცა ძალიან საპასუხისმგებლო და ამასთანავე საყვარელ საქმეს ემსახურები. ხარ მასწავლებელი - მასწავლებელი ათასი სხვადასხვა ხასიათის, შესაძლებლობისა და უნარის მქონე მოსწავლის, მაგრამ შენ ხარ მასწავლებელი და კლასში ყველას ერთი სტატუსი აქვს: ისინი მოსწავლეები არიან.

ორმაგად სასიხარულოა,როცა გყავს ისეთი გამორჩეული მოსწავლე,როგორიც არის ნინო მეხრიშვილი. უნიჭიერესი, უმშვენიერესი, კეთილშობილების განსახიერება, რომელიც უფალმა დააჯილდოვა ნიჭით, ფიზიკური სილამაზითა და ოჯახმა და ბუნებრივია, სკოლამაც უზრუნველყო მისი კარგი აღზრდა.

გული სიამაყით გევსება როცა ხედავ მოსწავლეს, რომელშიც ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა სიკეთეა ერთად თავმოყრილი.

თავის ნიჭსა და მომხიბვლელობას ერთმანეთში შერწყმულს, იმდენად კარგად იყენებს, რომ პირველი წუთიდანვე ექცევა გარშემომყოფთა ყურადღების ცენტრში.

მის აკადემიურ მოსწრებაზე საუბარი არცაა საჭირო,მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ეტალონში მის წარმატებას,სადაც ბოლომდე გამოამჟღავნა ცოდნა, კეთილშობილება და წარმატების ემოციით დახუნძლულს არ დავიწყებია მადლიერება გამოეხატა მშობლიური სკოლისადმი და აღმზრდელი მასწავლებლებისადმი. ყველა ვამაყობთ მისი წარმატებით და კიდევ ერთხელ ვულოცავთ!

რა შეიძლება იყოს მასწავლებლისათვის და მშობლისათვის იმაზე უფრო მეტად სასიხარულო, როცა შენი მოსწავლე ან შვილი ასეთ წარმატებას აღწევს?!

ნინო წელს სკოლას ამთავრებს, მინდა, ვუსურვო კიდევ მრავალი მწვერვალი დაეპყროს. დარწმუნებული ვარ ასეც იქნება. და კიდევ, არ ვიცი, რომელ სფეროში იმოღვაწებს სამომავლოდ, ერთი კი ცხადია, ყველგან იქნება წარმატებული და პროფესიონალი.

წარმატებები ნინო მეხრიშვილს!

და მე ვმადლობ უფალს, რომ მარგუნა ასეთი, გამორჩეულად კარგი გოგონას დამრიგებლობა...

ნუნუ ბიბილური
სურამის IV საჯარო სკოლის პედაგოგი

ხაშურის თოჯინების თეატრის კიდევ ერთი გამარჯვება

„მივედი,ვნახე,გავიმარჯვე“- ეს ცნობილი სენტენცია,გადამეტების გარეშე,აბსოლუტურად მიესადაგება ხაშურის თოჯინების თეატრს.

ამ საოცარმა დასმა ჯერ ხომ ჩვენი მუნიციპალიტეტის პატარების გულები დაიპყრო, მაგრამ ამას თავი დავანებოთ, - აგერ, 25 წელია, რომელ ფესტივალშიც კი მონაწილეობა მიუღია, ყველგან უმაღლეს პედესტალზე დაუსრულებია კონკურსი. ყველაფერი კი „შორეულ“ 93 - ში დაიწყო. საშინელი წლები იყო საქართველოში, მაგრამ თეატრმა მოახერხა მობილიზება და თბილისის ფესტივალზე თავისი კლასიც აჩვენა ჟიურისაც და მაყურებელსაც. ამას მოჰყვა გურჯაანის, კასპის, ბათუმის ფესტივალები და ყველგან წარმატება. ბოლო წლებში კი, ცნობილი ფესტივალის „ნარინჯისფერი ქობულეთის“ უპირობო ლიდერია. და აი, მორიგი აღიარება - გრან-პრი საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალში „ფერადი ზამთარი“, რომლის ორგანიზატორები აჭარის ხელისუფლება და „ტვ - 12“ იყვნენ.

გია ბოლოკაძე - თეატრის დირექტორი: - უჩვეულო ფესტივალი იყო, რადგან გასაგები მიზეზების გამო,უშუალოდ სცენაზე,მაყურებლისა და ჟიურის წინაშე არ გვიწევდა გამოსვლა. ფესტივალში მონაწილე ყველა თეატრმა ვიდეო-რგოლები გავაგზავნეთ და 9 ქვეყანას შორის (ბულგარეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ისრაელი, საქართველო, ლიეტუვა, ლატვია) გრან-პრიც მოვიპოვეთ. დასთან ერთად, დიდი სამუშაო გასწიეს ვიდეო-რეჟისორმა დავით ღოღობერიძემ და ინგლისურის სპეციალისტმა მაკა ცხადიაშვილმა (ტექსტის თარგმნა, ტიტრები...). მოკლედ, 15 წუთიან ვიდეოში მოვახერხეთ და „აქტუალური თემის თეატრალიზება“ სრულიად ავსახეთ... სასიხარულოა, რომ შრომა დაგვიფასდა და ასეთი წარმატება მივიღეთ. მადლობა დასის წევრებს, ზემოაღნიშნულ სპეციალისტებსა და მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის გვერდში დგომითაც შესაძლებელი გახდა ფესტივალში მონაწილეობა...

ჩვენ კი, ჩვენს მრავალრიცხოვან მკვითხველთან ერთად, ვულოცავთ მთელ შემოქმედებით კოლექტივს ამ წარმატებას და ვამაყობთ, რომ ხაშურში ასეთი აღიარებული თოჯინების თეატრი არსებობს.

D

წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობის 50 წელი

***** ***** *****

ადრეული აღზრდა და განათლება, ზოგადი განათლებისა და ბავშვის ყოველმხრივი განვითარების საფუძველია, რასაც სათანადო ყურადღება ექცევა საკანონმდებლო დონეზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მე-6 დაწესებულება ახალაშენებულ, ნათელ, თანამედროვე ინვენტარით გაწყობილ შენობაშია განთავსებული. საბავშვო ბაღის ხელმძღვანელობა კოვიდთან დაკავშირებულ ყველა რეგულაციას სიზუსტით იცავს.

გემოვნებით მორთულ დარბაზში ზეიმით აღნიშნეს ქალბატონ აზა მაღლაკელიძის დაუღალავი,პატარებზე ზრუნვის 50 და დაბადებიდან 80 წლის იუბილე.

ყველა ხაშურელი,ბავშვიც და უფროსიც იცნობს ქალბატონ აზას,როგორც მარად ახალგაზრდა, მომხიბლავ, ელეგანტურ, საოცრად ენერგიულ, სიცოცხლით სავსე, ღიმილიან ქალბატონს. მის გარემოცვაში სიცოცხლე ჩქეფს,ახალგაზრდებისთვის იყო და არის სტიმულის მიმცემი. თვითონ ყურადღებიანს და თბილს, სხვისი ყურადღებაც ენერგიით ავსებს.

აზა მაღლაკელიძემ შრომა, ენერგია და ინტელექტი პატარების არზრდას და სკოლისთვის მომზადებას მიუძღვნა,რომლის თვალს და ყურს არცერთი ბავშვის უხასიათობა, განწყობა არ გამოპარვია.

ქალბატონი აზა წლების განმავლობაში ზრუნავდა ახალგაზრდა კადრების გაწვრთნასა და დაოსტატებაზე. უყვარს კარგის წარმოჩენა. მისი ნების გამოხატულებაა, რომ ხელმძღვანელის თანამდებობა სიყვარულით გადაულოცა ენერგიულ თიკო ჭავჭავაძეს და თვითონ რიგითებში ჩადგა. მას პატივს სცემენ, დღესაც ისმენენ მისგან რჩევას, ბაძავენ, როგორც ყოველ დროში გამორჩეულ ქალბატონს და ის დღეც ამის დასტური იყო.

დიდხანს იცოცხლეთ ქალბატონო აზა, დაამშვენეთ თქვენი საბავშვო ბაღი და საზოგადოება.

ი.ელისაშვილი, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.